ხელშეკრულება

№ 12

ქ.ქუთაისი „30“ ივლისი 2015 წ

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ: **შპს „იმერეთის სახანძრო დაცვა“** დირექტორი მამუკა შავგულიძე. პირ№ 60001111709; ს/კ 412702302; ქ.ქუთაისი ტიციან ტაბიძის ქ. №29 ტელ: (431) 25 01 00; 555 36 21 96; E-mail : mamuka.shavgulidze@mail.ru სააქციო საზოგადოება „ საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი: BAGAGE 22; ანგარიშის ნომერი: GE60BG0000000855036300

მეორეს მხრივ: **სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლა**
ს/კ 215606422

დირექტორი: გოგა მოდებაძე

შემდგომში „შემსყიდველი“ (მომსახურეობითი სამუშაოების დამკვეთი) ვდებ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: „შემსყიდველი“ უკვეთავს შემდეგი სახის სახანძრო ინვენტარს ან მომსახურეობითი სამუშაოების შესრულებას -ცეცხლმაქრობის გადამუხტვა : 3 ცალი, ტრანსპორტირება.

CPV - კოდი (35100000 - საგანგებო სიტუაციებისა და უსაფრთხოების მოწყობილობები)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. მისაწოდებელი საქონლის ან მომსახურეობითი სამუშაოების საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს -105-(ასხუთი ლარი 00თეთრი) უნაღდო ანგარისწორებით.

3.2 საქონელი მიწოდებული იქნება შემდეგი მისამართზე **სოფელ ეწერის საჯარო სკოლა**

4. საქონლის მოწოდების ვადა

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია საქონლის მოწოდება ან მომსახურეობითი სამუშაოების ჩატარება დაასრულოს ხელშეკრულების გაფორმების დღიდან_ 5_ კალენდარულ დღეში.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს ტექნიკური დოკუმენტაციით გათვალისწონებული საქონლის მიწოდება. იგი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხსა და ვარგისიანობაზე.

5.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრები ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესყიდული საქონლის ან მომსახურეობითი სამუშაოების ღირებულება არაუგვიანეს_ 10_ კალენდარული დღისა.

5.3 შემსყიველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

5.4 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

6. საჯარიმო სანქციები

6.1 საქონლის მოწოდების ვადის დარღვევის შემთხვევში მიმწოდებელი გადაუხდის შემსყიდველს სახელშეკრულებო თანხის 0.1% (ნული მთელ ერთი მეათედი პროცენტი) ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.2 წინამდებარე ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრული გადახდის ვადების დარღვევისთვის შემსყიდველი უხდის მიმწოდებელს 0.1% (ნული მთელ ერთი მეათედი პროცენტი) ხელშეკრულებების საერთო თანხიდან, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7. ანგარისწორების ვალუტა

.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება ლარებში.
7.2 ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
7.3 ანაზღაურების ადგილია ქალაქი ქუთაისი
7.4 დასაშვებია მოხდეს მიმწოდებლის წინასწარი ანგარიშსწორება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არაუმეტეს 50 % ოდენობით, რაზეც მიმწოდებელმა დამატებით უნდა წარმოადგინოს საავანსო თანხის ოდენობის საბანკო გარანტია.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახდა და ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესრულების გარდა.
8.2 თუ რაიმე, წინასწარ გაუთვალისწინებელი, მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია
8.3 ხელშეკრულების პირების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და მიმწოდებლის შეცდომებზე, დაუდევრობასთან და გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომთან ან სტიქიურ მოვლენებთან, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნენების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტებს ირგვლივ.
10.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციალურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

11. დასკვნითი დებულებანი

11.1 ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით, ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.
11.2. საკითხები, რომლებიც არ არის რეგულირებადი წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

,,მიმწოდებელი"
შპს „იმერეთის
სახანძრო დაცვა"
დირექტორი

/მამუკა შავგულიძე/

,,შემსყიდველი"
სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის
სოფელ ეწერის საჯარო სკოლა
დირექტორი

/გოგა მოდებაძე/